სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	**ფასიანი ქაღალდების ბაზარი**
ავტორი	ხათუნა ბარბაქაძე – ასოცირებული პროფესორი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა 230-40-66 (კათედრა); 577. 25-44-86 (მობილური). barbaqadzex@yahoo.com დავით ასლანიშვილი – ასისტენტ პროფესორი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა 230-40-66 (კათედრა); 599. 56-93-97 (მობილური). d.aslanishvili@gmail.com
ლექტორი	ხათუნა ბარბაქაძე – ასოცირებული პროფესორი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა 230-40-66 (კათედრა); 577. 25-44-86 (მობილური). barbaqadzex@yahoo.com დავით ასლანიშვილი – ასისტენტ პროფესორი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა 230-40-66 (კათედრა); 599. 56-93-97 (მობილური). d.aslanishvili@gmail.com
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
	2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
	3. ფინანსებისა და საბანკო საქმის მოდულის სავალდებულო კურსი
სასწავლო კურსის მიზნები	კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს და ჩამოუყალიბოს სისტემური ცოდნა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების თავისებურებებისა და კანონზომიერებების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცენტრალური დეპოზიტარისა და საბროკერო კომპანიის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მართვისა და ზედამხედველობის სისტემის შესახებ. კურსი აგრეთვე მოიცავს ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციას, შეფასების მეთოდებსა და ფასიანი ქაღალდების პორტფელის აგების ძირითად მიდგომებს.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	5 ECTS კრედიტი – 125 სთ; სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები – 30 სთ; კვირაში 2 სთ. მათ შორის კვირაში – 1 სთ. ლექცია, 1 სთ სემინარი. • სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები – 95 სთ; მათ შორის: შუალედური გამოცდის მოსამზადებლად და ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 9 სთ; • დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად და ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 15 სთ.
დაშვების წინაპირობები	აღნიშნულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობაა საგნის „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ ჩაბარება.
სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

	1. **ცოდნა და გაცნობიერება** • ფასიანი ქაღალდების სახეები და კლასიფიკაცია; • ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსი და ძირითადი ფუნქციები • ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერების თავისებურებების სისტემური აღწერა; • ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციის წყაროების, განთავსების წესებისა და მეთოდების გამოყენება; • ფასიანი ქაღალდების პორტფელის აგების ძირითადი მიდგომების შერჩევა; • ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურისა და ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ორგანიზაციული სტრუქტურის დახასიათება; • ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის არსი და ფუნქციონალური სტრუქტურა. 2. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** • ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების კვალიფიკაციური ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება; • ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის განსაზღვრის მეთოდების განსაზღვრა და გამოყენება; • ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების შეფასება; • ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის დამახასიათებელი პრობლემების პრევენცია (პრობლემის აღმოჩენა მისი წარმოშობის ადრეულ ეტაპზე და შესაძლო უარყოფითი შედეგების მაქსიმალურად შემცირება, ან სრული ლიკვიდაცია, თუ ეს შესაძლებელია). 3. **დასკვნის უნარი** • ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციის წყაროების საფუძველზე პრინციპულ ასპექტებში გარკვევა და შესაბამისი შეფასება; • ჩატარებული კვლევის შედეგად კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიღებული მონაცემების შერჩევა და გაანალიზება; • ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ მონაცემებისა და კრიტიკული შეფასების საფუძველზე დასკვნების გაკეთება. 4. **კომუნიკაციის უნარი** • ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემებზე უცხოურენოვანი ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო რესურსების მოძიება, შესწავლა, გაანალიზება და გადმოცემა; • ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საკითხების მომზადება და მისი პრეზენტაცია.

<table>
<tr><td></td><td>

5. სწავლის უნარი

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- ცოდნის განახლება დამოუკიდებლად.

6. ღირებულებები

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პროცესში საკუთარი მიდგომების ჩამოყალიბება და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

</td></tr>
<tr><td>სასწავლო კურსის შინაარსი</td><td>იხ. დანართი 1</td></tr>
<tr><td>სწავლების/სწავლის მეთოდები</td><td>

კურსის სწავლების ძირითადი ფორმებია სალექციო, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობა. კვირაში გათვალისწინებულია 1 საათი სალექციო და 1 საათი სემინარული მეცადინეობა. სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შემდგომში გაღრმავდება სემინარულ მეცადინეობებზე. შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს: სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას;
4. შემთხვევის ანალიზი **(Case study);**
5. ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

</td></tr>
<tr><td>შეფასების კრიტერიუმები</td><td>

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

<table>
<tr><td>ცოდნის შეფასების კრიტერიუმები</td><td>ხვედრითი წილი</td></tr>
<tr><td>სემინარულ–პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება და აქტიურობა</td><td>40 %</td></tr>
<tr><td>შუალედური გამოცდა</td><td>20 %</td></tr>
<tr><td>დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა</td><td>40 %</td></tr>
<tr><td>საბოლოო შეფასება</td><td>100 %</td></tr>
</table>

1. სემინარულ–პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება და აქტიურობა მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სასემინარო მეცადინეობებზე დასწრება – 5 ქულა (ყველა სემინარზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით, საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი დასწრება – 3 ქულით, ნახევარზე ნაკლები დასწრება – 2 ქულით, იშვიათად დასწრება – 0 ქულით);

ბ) აქტიურობა სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობაზე – 35 ქულა.

სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია 11 სასემინარო მეცადინეობა. სემინარულ მეცადინეობაზე ხდება საკონტროლო კითხვებისა და სიტუაციური ამოცანების განხილვა. თითოეულ

</td></tr>
</table>

	თემასთან დაკავშირებული საკონტროლო კითხვებისა და სიტუაციური ამოცანების ანალიზის შეფასება შემდეგნაირად ნაწილდება: თითოეული თემა ფასდება მაქსიმუმ 2.0 ქულით, შესაბამისად, ქულების მაქსიმალური ჯამი იქნება: 2.0X11=22 ქულა; ასევე, სტუდენტი წერს ქვიზს (სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია 2 ქვიზის წერა და შეფასდება 13 ქულით, სულ 6+7=13). შესაძლებელია მხოლოდ 2 საპატიო მიზეზით გაცდენილი სემინარის აღდგენა საკონსულტაციო საათზე. **2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა** (5 დახურული ტესტი – თითოეული ფასდება 1 ქულით; 2 ღია ტესტი თითოეული ფასდება 1 ქულით; 1 ამოცანა - ფასდება 3 ქულით და 1 თეორიული საკითხი – ფასდება 10 ქულით), თეორიული საკითხის შეფასების კრიტერიუმებია: • **9-10 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. • **7-8 ქულა:** პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდეომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. • **5-6 ქულა:** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები. • **3-4 ქულა:** პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. • **1-2 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. • **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **3. საბოლოო გამოცდა (წერითი) – 40 ქულა** (10 დახურული ტესტი – თითოეული ფასდება 1 ქულით; 4 ღია ტესტი – თითოეული ფასდება 1 ქულით; 2 ამოცანა - ფასდება 3,0 ქულით და 2 თეორიული საკითხი – ფასდება 10 ქულით) თეორიული საკითხის შეფასების კრიტერიუმებია: • **9-10 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და

ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა.

- **7-8 ქულა:** პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდეომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
- **5-6 ქულა:** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.
- **3-4 ქულა:** პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.
- **1-2 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმნეტები.
- **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ 11 ქულის მოგროვება.

საბოლოო შეფასება:
ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან შეფასება ნიშანი

ქულები	შეფასება	
91% და მეტი	ფრიადი დადებითი	,,A”
81-90%	ძალიან კარგი დადებითი	,,B”
71-80%	კარგი დადებითი	,,C”
61-70%	დამაკმაყოფილებელი დადებითი	,,D”
51-60%	საკმარისი დადებითი	,,E”
41-50%	ვერ ჩააბარა უარყოფითი	,,FX”
0-40%	ჩაიჭრა უარყოფითი	,,F”

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

ძირითადი ლიტერატურა	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი,** ელექტრონული ლექციების კურსი, თბ., 2014 ლიტერატურა ხელმისაწვდომია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში.
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	დამატებითი ლიტერატურა საშუალებას მოგცემთ უფრო ღრმად გაერკვეთ საკვანძო საკითხებში, შეადაროთ სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები და გამოიმუშაოთ საკუთარი პოზიცია რიგ პრინციპულ საკითხებში. 1. ლ. ქოქიაური. ნ. შონია. ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თბილისი, გამომცემლობა თსუ, 2008 2. ჯიბუტი მ. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბ., 2003 3. Колб Роберт В., Родригес, Рикардо Дж. Финансовые институты и рынки, Учебник, Перевод 2-го американского издания, Дело и Сервис, М., 2003 **ინტერნეტ მასალები:** https://www.nyse.com/index; http://www.nasdaq.com; www.investgroup.ge; www.bloomberg.com; www.nbg.gov.ge; www.gse.ge; www.geostat.ge

სასწავლო კურსის შინაარსი

N	**თემა (ლექცია/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.)**	**სასწავლო მასალა**
1	**თემა 1. ფასიანი ქაღალდების ბაზარი - დანიშნულება, არსი, ფუნქციები და სტრუქტურა,** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) **<u>ლექცია</u>** ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსი და ძირითადი ფუნქციები. ფასიანი ქაღალდების ბაზარი, როგორც ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი - ინვესტიციების მოზიდვის ალტერნატიული გზა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტრუქტურა. კაპიტალის ძირითადი მიმწოდებლები და მომხმარებლები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. სახელმწიფოს როლი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში. ფულის ბაზრის ინსტრუმენტები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტრუმენტები. საბაზრო ფასის ცნება და ფასწარმოქმნა ბაზარზე **<u>სემინარი.</u>** *დისკუსია თემაზე:* ფასიანი ქაღალდების ბაზარი, როგორც ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი - ინვესტიციების მოზიდვის ალტერნატიული გზა. სახელმწიფოს როლი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 4-28
2	**თემა 2. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში და მისი განვითარება** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) **<u>ლექცია</u>** ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში. საქართველოს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი და მისი რეგულირება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში. **<u>სემინარი</u>**. *დისკუსია თემაზე:* ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში. ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 29-42

3	**თემა 3. ფასიანი ქაღალდების ცნება და კლასიფიკაცია** **<u>ლექცია</u>** ფასიანი ქაღალდების ცნება. ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია. აქციათა სახეები; აქციათა კლასი; აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. კორპორაციის ობლიგაციები: ობლიგაციის ფუნდამენტური თვისებები. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. სახელმწიფო სახაზინო ვალდებულება. სახელმწიფო სახაზინო ობლიგაცია და მისი წარმოშობის ნიუანსები საქართველოში. **<u>სემინარი.</u>** *დისკუსია თემაზე:* ფასიანი ქაღალდების ცნება. ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები: სახაზინო ვალდებულებები.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 43-61
4	**თემა 4. გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების შეფასება** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) **<u>ლექცია</u>** ობლიგაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები: ნომინალური ღირებულება, საკუპონე საპროცენტო განაკვეთი, განაღდების ვადა, ობლიგაციის გამოსყიდვა, დაფარვის სარეზერვო ფონდი. ობლიგაციის შეფასება: ობლიგაციის ღირებულების ცვლილება დროში. ობლიგაციის მოგებები: მოგების ნორმა განაღდების მომენტისათვის, მოგების ნორმა გამოსყიდვის მომენტისათვის. ობლიგაციის რისკიანობის შეფასება: საპროცენტო განაკვეთის რისკი, რეინვესტირების რისკი, საპროცენტო განაკვეთის და რეინვესტირების განაკვეთის რისკის შედარება. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დეტერმინანტები. აქცია და მისი ფასი. კომპანიის კონტროლი აქციების შეძენის უპირატესი უფლება. აქციების ბაზარი. აქციის საბაზრო ტრანსაქციების ტიპები. აქციების შეფასება: აქციის ფასის გამოთვლაში გამოყენებული ცვლადები. მოსალოდნელი დივიდენდები, როგორც აქციის ფასის შეფასების საფუძველი. მუმივი ზრდის ტემპის აქციები: დივიდენდი და მოგებების ზრდა. მოსალოდნელი და უკუგების ნორმა მუდმივი ზრდის აქციაზე. აქციის ფასი ზრდის არათანაბარი ტემპის დროს. პრივილეგირებული აქციის შეფასება. **<u>სემინარი.</u>** *დისკუსია თემაზე:* ობლიგაციის ღირებულების ცვლილება დროში. ობლიგაციის მოგებები. ობლიგაციის რისკიანობის შეფასება: საპროცენტო განაკვეთის რისკი, რეინვესტირების რისკი, საპროცენტო განაკვეთის და რეინვესტირების განაკვეთის რისკის შედარება. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დეტერმინანტები. აქციების შეფასება: აქციის ფასის გამოთვლაში გამოყენებული ცვლადები.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 62-77
5	**თემა 5. ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციის წყაროები** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) **<u>ლექცია</u>** საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ელემენტები. საჯარო და ინსაიდერული ინფორმაცია. საკრედიტო რეიტინგები.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“**

	რეიტინგის დადგენის მეთოდიკა და პრობლემები. წამყვანი გლობალური საკრედიტო რეიტინგები: დოუჯონსის ინდექსი (Dow Jones); Standard & Poor's ინდექსი; „Moody's"; „Fitch Group". საბირჟო ინდექსები და ფასიანი ქაღალდების კურსების საშუალო მაჩვენებლები: ყველაზე ცნობილი ინდექსები; აშშ; ევროზონის ქვეყნებში არსებული წამყვანი ინდექსები; აზია. კანონმდებლობა, როგორც ინფორმაციის წყარო და აქციონერთა უფლება-მოვალეობები. აქციონერთა უფლება-მოვალეობები; საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა; სავალდებულო სატენდერო შეთავაზება; აქციათა სავალდებულო მიყიდვა; აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო. <u>**სემინარი.**</u> *დისკუსია თემაზე:* საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ელემენტები. საბირჟო ინდექსები და ფასიანი ქაღალდების კურსების საშუალო მაჩვენებლები.	ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 78-97
6	**თემა 6. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) <u>**ლექცია**</u> ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის არსი, ამოცანები და მექანიზმები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი. ემისიის პროსპექტი. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები: საბროკერო კომპანიები. საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობები. ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობები. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობები. საბროკერო კომპანიებისათვის, საფონდო ბირჟებისათვის, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის ლიცენზიების გაუქმება. საინვესტიციო ფონდები. გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის შექმნის პროცედურა. გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის განაცხადი. გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის ვალდებულება. გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილე (ინვესტორი). ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული ოპერაციის ზოგადი ტექნოლოგია. <u>**სემინარი.**</u> *დისკუსია თემაზე:* ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის არსი, ამოცანები და მექანიზმები. რისკის ძირითადი სახეობები საფონდო ბაზარზე.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი"** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 98-110
7	**შემაჯამებელი ლექცია და დისკუსია განვლილი თემებიდან**	
8	**შუალედური გამოცდა**	
9	**თემა 7. კაპიტალის ბაზარი** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ)	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ.**

	<u>ლექცია:</u> ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება: ტრადიციული ანდერრაითინგი; საუკეთესო ძალისხმევის წინადადება; რეზერვული რეგისტრაცია. პრივილეგირებული გამოწერა: უპირატესი უფლება; წინადადებების პირობები; უფლებების ღირებულება; სარეზერვო მოთხოვნა და დამატებითი პრივილეგირებული გამოწერა; პრივილეგირებული გამოწერა და საჯაროდ შეთავაზება. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების რეგულირება: ფედერალური კანონები; შტატის კანონები. კერძო განთავსება: პირობები; ბაზარზე განვითარება. პირველადი დაფინანსება: ვენჩურული კაპიტალი; საწყისი საჯარო შეთავაზებები. სიგნალის ეფექტი: მომავალი ფულადი ნაკადების მოლოდინი; ასიმეტრიული ინფორმაცია. მეორადი ბაზარი. <u>სემინარი.</u> *დისკუსია თემაზე:* ხარჯების მიმოხილვა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება კაპიტალის ბაზარზე ახალი გამოშვებული ობლიგაციებისა და აქციების თავდაპირველი გაყიდვა.	**„ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 111-129
10	**თემა 8. საფონდო ბირჟა, ინდექსი და საინვესტიციო პორტფელი** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) <u>ლექცია</u> საფონდო ბირჟის საქმიანობის არსი. საფონდო ბირჟის მიზნები და საქმიანობა: ბირჟის მართვის ორგანოები. ბირჟის წევრები. ბირჟის შემოსავლები, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. საფონდო ბირჟის სავაჭრო წესები: ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრთა მოვალეობები. სავაჭრო სისტემაში კლიენტის განაცხადის შეტანისათვის საჭირო წინასწარი პროცედურები. სავაჭრო განაცხადის პარამეტრები. სავაჭრო განაცხადის სავაჭრო სისტემაში შეყვანის პრიორიტეტები. საქართველოს საფონდო ბირჟის ეთიკის კოდექსი: რჩევები კლიენტებს. სანქციები დისციპლინალურ დარღვევებზე. სამართლიანი ფასები, საკომისიოები და ანაზღაურება. ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვება: ფასიანი ქაღალდების ლისტინგის შეჩერება და დელისტინგი. ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვების პროცედურის ანაზღაურება. საქართველოს საფონდო ბირჟის ინდექსი. ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასის განსაზღვრის წესი. <u>სემინარი.</u> *დისკუსია თემაზე:* საფონდო ბირჟის საქმიანობის არსი. საფონდო ბირჟა, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაცია. საფონდო ბირჟის როლი ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 130-148
11	**თემა 9. ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი** ლექცია (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) <u>ლექცია</u> ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის არსი. ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“**

	რგოლები და ძირითად ტერმინთა განმარტება. ცენტრალური დეპოზიტარი, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაცია. ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წესი ოპერაციებსა და პროცედურების შესახებ. ცენტრალურ დეპოზიტარში გახსნილი ანგარიშების სახეობები. სავაჭრო ანგარიში და სავაჭრო ოპერაციები. კლირინგი. ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით დადებული გარიგებების ანგარიშსწორება. ცენტრალური დეპოზიტარის კორპორაციული ქმედებები და ანგარიშგება. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ეთიკის კოდექსი. წევრების საქმიანობისა და ქცევის ძირითადი პრინციპები. წევრის ვალდებულება კლიენტების წინაშე. დისციპლინური დარღვევები. სამართლიანი ფასები და კონფიდენციალურობა. წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიში. ზედამხედველობა და ანგარიშგება. ცენტრალური დეპოზიტარის მართვის ორგანოები. <u>**სემინარი.**</u> *დისკუსია თემაზე:* ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის არსი. ცენტრალური დეპოზიტარი, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაცია. ცენტრალური დეპოზიტარის ორგანიზაციული სტრუქტურა.	ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ.,149-163
12	**თემა 10. ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) <u>**ლექცია**</u> საბროკერო კომპანიის საქმიანობის არსი. საბროკერო კომპანიის მიერ განხორციელებული გარიგებები. საბროკერო კომპანიის ბროკერების მიერ წარმოებული ოპერაციები და მომსახურება. კორპორატიული კონსალტინგი და დაფინანსება. ემისიის ორგანიზება. საწარმოს კაპიტალიზაციის გაზრდა. ბიზნეს გეგმის შემუშავება. ნომინალური მფლობელობა. საინფორმაციო-ანალიტიკური მომსახურეობა. შესაძენი ობიექტის ძებნა. საწარმოს შეძენისა და ფინანსური გაჯანსაღების მომსახურება. სატრასტო მომსახურება. საბროკერო კომპანიის ლიცენზია. ლიცენზიის მოთხოვნების, ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურება. საბროკერო კომპანიის სამუშაო ფორმა - ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ სავალდებულო ხელშეკრულების ნიმუში. ხელშეკრულების სავალდებულო მუხლები, მხარეთა უფლება - მოვალეობები, პასუხისმგებლობა. საბროკერო კომპანიის საფონდო ბირჟაზე სავაჭრო განაცხადის ნიმუში. სავაჭრო განაცხადის სავალდებულო მოთხოვნები, დავალების ბილეთის ფორმა, ვადა და რეკვიზიტები.საბროკერო კომპანიის მიერ ფასიანი ქაღალდების გასხვისების განკარგულების ნიმუში. გამსხვისებლის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა, ფასიანი ქაღალდის მონაცემები, გასხვისების სახეობა, შემძენის მიერ წარმოსადგენის სავალდებულო მონაცემები. საბროკერო კომპანიის მიერ ფასიანი ქაღალდების გირავნობის	1. **ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 164-180

	განკარგულების ნიმუში. დამგირავებლის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო ინფორმაცია, მონაცემები გირავნობის და დაგირავებულ ფასიან ქაღალდებზე, მოგირავნეს მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია. საფონდო ბირჟაზე საბროკერო კომპანიის მიერ დასადები გარესაბირჟო ფიქსაციის ფორმის ნიმუში. **<u>სემინარი.</u>** *დისკუსია თემაზე:* საბროკერო კომპანიის საქმიანობის არსი და ორგანიზაციული სტრუქტურა. საბროკერო კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობა. საბროკერო კომპანიის რეორგანიზაცია.	
13	**თემა 11. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) **<u>ლექცია</u>** ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის არსი. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოვალეობანი. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის სამართლებრივი სივრცე. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შინაგანაწესი. ფასიანი ქაღალდების რეესტრი. ამონაწერები რეესტრიდან. კონტროლი. ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო მოთხოვნები. პიროვნული ანგარიში. რეესტრში არსებული ინფორმაციის მოპოვების უფლება. ფასიანი ქაღალდების გადაცემა. ბლოკირების ოპერაცია ფასიან ქაღალდებზე. საჯარო ფასიანი ქაღალდებზე რეესტრის წარმოება. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რეგისტრატორის მომსახურეობის სახეობები. რეესტრის წაროების მომსახურება. აქციონერთა კრება. აქციონერი. რეგისტრატორის ოპერაციები და ბირჟის სავაჭრო სისტემა. ბლოკირება. გასხვისება. არქივიდან მონაცემების ამოღება. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ამონაწრი რეესტრიდან. **<u>სემინარი.</u>** *დისკუსია თემაზე:* რეგისტრატორის ფუნქციონალური სტრუქტურა.	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 181-196
14	**თემა 12. გლობალური ფინანსური ბაზარი** (ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ) **<u>ლექცია</u>** საერთაშორისო სავალუტო ბაზარი: ვალუტა და სავალუტო კურსი. ვალუტის კურსი და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი. სპოტ სავალუტო კურსი და მოთხოვნა ნაციონალურ ვალუტაზე. ნომინალური და რეალური სავალუტო კურსი. ვალუტის ფორვარდული კურსი. სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტები და ფუნქციები. სავალუტო ბაზრის სტრუქტურა და მონაწილენი. ფინანსური დერივატივების ბაზარი. ფინანსური დერივატივების ძირითადი არსი, განსაზღვრა, კლასიფიკაცია, ფუნქციები. ფორვარდული ბაზარი: ფორვარდული გარიგება და მისი თავისებურებები. ფორვარდების კლასიფიკაცია. ფინანსური ფიუჩერსი. ფიუჩერსის ბაზრის ზოგადი დახასიათება. ფინანსური ფიუჩერსის სახეები. ოპციონის თავისებურებები,	**1. ბარბაქაძე ხ. ასლანიშვილი დ. „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“** ელექტრონული ლექციების კურსი, 2014 წ. გვ., 197-210

	ფუნქციები და სახეები. რეალური ოპციონების ანალიზი. **<u>სემინარი.</u>** *დისკუსია თემაზე:* საერთაშორისო სავალუტო ბაზარი. ფინანსური დერივატივების ბაზარი. ფორვარდული ბაზარი. ოპციონის თავისებურებები, ფუნქციები და სახეები.	
15	**შემაჯამებელი ლექცია და დისკუსია განვლილი თემებიდან**	